



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1469
08/08/2018

ქალაქი ბათუმი

1469-05-4-201808081618



ზვიად ხალვაშის -ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილისა და თეიმურაზ გაწერელისა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის ქალაქ თბილისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და მადონა სამნძიმის 2018 წლის 08 აგვისტოს №2288-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე და თეიმურაზ გაწერელია - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მივლინებული იქნენ ქალაქ თბილისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, 2018 წლის 09 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „ჰიუნდაი ტუქსონ 2“ სახელმწიფო ნომრით VZ-480-ZV და გამოეყოს 120 ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულმა სამსახურმა (მ. ბახტაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა